959

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

2

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 1609

1958 წლის 31 დეკემბერი

7837

ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლისათვის დიდი ჩეხი პედაგოგისა და მოაზროვნის იან ამოს კომენსკის სახელის მინიჭების შ ე ს ა ხ ე ბ

ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლას მიენიჭოს დიდი ჩეხი პედაგოგისა და მოაზროვნის იან ამოს კომენსკის სახელი და ამიერიდან ეწოდოს — იან ამოს კომენსკის სახელობის ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი **ვ. ჯიბლაძე.**

F-2933

საკავშირო ბიბლიოთეკა
ბერლინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს,
სამხრეთ ოსეთის ა. ო., რაიონების, ქალაქების
განათლების განყოფილებათა გამგეებს

№ 1/6

6/1 1959 წელი

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ 1958 — 59 სასწავლო წელს ნიშნები უახლეს ისტორიაში X კლასში შედის სსრ კავშირის ისტორიის მეოთხედურ და წლიურ ნიშნებში და ცალკე არ გამოიყვანება.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 14/791

1959 წლის 8 იანვარი

ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1958 წლის 22 თებერვლის ბრძანების № 151/69 შესრულების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტებმა და სკოლების დირექტორებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის ნათელი დამადასტურებელია მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენთა ბრწყინვალე გამარჯვება. მიაღწია რა სპორტის 13 სახეობაში მნიშვნელოვან შედეგებს, საქართველოს მოსწავლეთა სპორტულმა კოლექტივმა უზრუნველყო საერთო პირველი ადგილის მოპოვება.

თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის ხარისხი, რაიონის სკოლებს შეემატა სამი ახალი სპორტული დარბაზი, შეძენილია 60.000 მან. სასპორტო ინვენტარი, დროულად ჩატარდა ყველა სკოლის სასპორტო ბაზის რემონტი.

სტალინის რაიონის სკოლებმა შეიძინეს 45.000 მან. სასპორტო ინვენტარი და შეაკეთეს სასკოლო სპორტული მოედნები.

კარგად მუშაობენ 30-ე, 49-ე, 55-ე, 61-ე, 63-ე, 64-ე, 90-ე საშუალო სკოლების ფიზიკური კულტურის კოლექტივები. 65-ე და 75-ე საშუალო სკოლებში გაკეთდა სპორტული მოედნები და შეკეთდა სპორტული დარბაზები. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლაში საკუთარი ინიციატივით გააკეთეს სპორტული დარბაზი, უფრო კეთილმოწყობილი გახდა ქალაქის სკოლების სასპორტო მოედნები.

სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ მუშაობას გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინის საშუალო სკოლაში, ამ სკოლას გააჩნია კარგად მოწყობილი სასპორტო დარბაზი, სასპორტო მოედანი მძლეოსნური სექტორებით და იარაღნაგით, სკოლაში რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები, გამოდის კედლის გაზეთი „ნორჩი ფიზკულტურელი", სისტემატურად ტარდება მეცადინეობამდე ტანვარჯიში. სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა გაჯანსაღების საქმეს თელავის რუსულ საშუალო სკოლაში, ამ სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქალაქო და რაიონულ სპორტულ ღონისძიებებში. თელავის მე-4 საშუალო სკოლას საშეფო ორგანიზაციამ აუშენა სპორტული დარბაზი.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო და სასპორტო სკოლებს, მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

ქ. გორის I საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ჩიკოიძე) სასპორტო ოთახი გააუქმეს და მეცადინეობას დერეფანში ატარებენ, მიმდინარე სასწავლო წელს არცერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ, სკოლაში არ ტარდება მეცადინეობამდე ტანვარჯიში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სპორტული მუშაობა ქუთაისის მე-8, მე-14 და მე-20 სკოლებში.

სუსტად მუშაობს ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტული სკოლა (დირექტორი შ. ნაჭყებია, უფროსი მწვრთნელი ი. თავდიდიშვილი), ხსენებული სკოლა რიგი წლების მანძილზე უშვებდა უმაღლესი თანრიგის მქონე ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც წარმატებით იცავდნენ საკავშირო შეჯიბრებებზე რესპუბლიკის სპორტულ სახელს, ამჟამად სკოლა სამარცხვინოდ ჩამორჩება მაღალი თანრიგის მქონე სპორტსმენთა მომზადების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საოლქო და რაიონული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეებმა: ა) რეგულარულად შეამოწმონ აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოისმინონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და ფიზკულტურის კომიტეტების სხდომებზე. ბ) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1958 წლის 22 თებერვლის ბრძანების № 151/69 შეუსრულებლობისა და აგრეთვე სკოლის სასპორტო დარბაზის გაუქმებისათვის გამოეცხადოს საყვედური ქ. გორის I საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ჩიკოიძეს.

3. ქ. გორის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. ჯამბრიშვილს და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. მეყანწიშვილს, რომლებიც არ გამოეხმაურნენ I საშ. სკოლის სასპორტო დარბაზის გაუქმებას—მიეთითოთ.

ქ. გორის განათლების განყოფილებამ და ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 1959 წლის 25 იანვრამდე აღადგინონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ აღნიშნული სკოლის სასპორტო დარბაზი.

5. ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებამ და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ბავშვთა ტანვარჯიშული სასპორტო სკოლის მუშაობის გადაჭრით გასაუმჯობესებლად და ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობის შედეგები მოახსენონ განათლების სამინისტროსა და რესპ. ფიზკულტურის კომიტეტს 1959 წლის 25 იანვრამდე.

6. სამინისტროს სკოლების სამმართველომ, ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა, რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1958 წლის 30 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე

თ. ზახაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის
კომიტეტის თავმჯდომარე

გ. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

1959 წლის 9 იანვარი

1958 — 59 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ქობულეთელთა მოწოდების პასუხად ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1958—1959 სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის მშრომელების 1958 წლის 7 მაისის მოწოდებას აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის საწარმოო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ამ პატრიოტული თაოსნობის შედეგად მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში აიგო 61 ახალი სასკოლო შენობა და 8 საცხოვრებელი სახლი სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის; სასკოლო და საბავშვო ბაღის შენობებზე დაშენდა და მიშენდა ასეულობით საკლასო ოთახები.

აღებული ვალდებულებების შესრულებაში თავი ისახელეს ქობულეთის რაიონის მშრომელებმა. მათ მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის ააგეს 5 ახალი სასკოლო შენობა. სასკოლო შენობებს მიაშენეს და დააშენეს 106 საკლასო ოთახი 2232 კვ. მეტრი ფართობით.

სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ბასილაძე) ქობულეთის საშუალო სკოლას აუგო სასკოლო შენობა 29 ოთახით. ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავ-

მჯდომარე ხ. ყურშუბაძე) ჩაისუბნის შვიდწლიან სკოლას აუშენა 26 საკლასო ოთახი. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. თოფურიძე) ოჩხამურის საშუალო სკოლას გადასცა 11 საკლასოოთახიანი შენობა, ჩაუტარა კაპიტალური რემონტი და შეუძინა 30 ათასი მანეთის ინვენტარი. სოფელ ფიჭვნარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ბაჟუნაიშვილი) ქ. ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლას მიაშენა 8 საკლასო ოთახი და შეუძინა 10 ათასი მანეთის ინვენტარი. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ცეცხლაძე) ხუცუბნის დაწყებით სკოლას აუშენა 6 საკლასოოთახიანი შენობა და კაპიტალურად შეაკეთა ქვედასამების შვიდწლიანი სკოლის შენობა. ლეღვას კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. რომანაძე) ლეღვას საშუალო სკოლას მიაშენა 6 საკლასო ოთახი, შეუძინა 10 ათასი მანეთის ინვენტარი და კაპიტალური რემონტი გაუკეთა 2 დაწყებით სკოლას. ხალას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ფალავანდიშვილი) ხალას საშუალო სკოლას აუშენა 5 საკლასო ოთახი და ააგო დაწყებითი სკოლის შენობა. დაგვას კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ანდრიადი) დაგვას მე-2 შვიდწლიან სკოლას აუშენა 6 ოთახიანი შენობა და სახელოსნო 60 კვ. მეტრის ფართობით, ხოლო დაგვა პირველის შვიდწლიან სკოლას— ორი საკლასო ოთახი.

1958—1959 სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში კარგი შედეგები აქვთ მოპოვებული ქედის რაიონის სოფ. ცხმორისის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე შ. აბაშიძე), რომელმაც ცხმორისის შვიდწლიან სკოლას თავისი სახსრებით აუგო 16 ოთახიანი შენობა. ამ სკოლის მშენებლობაში ენერგიული მუშაობით თავი ისახელა დურგალმა შ. ცინცაძემ. დანდალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. კონცელიძე) დანდალოს შვიდწლიან სკოლას აუგო 12 ოთახიანი შენობა, ხოლო აგარის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. დევაძე) ქვედა აგარის დაწყებით სკოლას — დაწყებითი სკოლის შენობა. ხარაულას ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ბერიძე) ხარაულას საშუალო სკოლა გააფართოვა 10 ოთახით.

ხულოს რაიონის სოფ. საციხურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. მგელაძე) გელაურის შვიდწლიან სკოლას სოფ. კორტოხის, სოფ. პაკსაძეებისა და სოფ. ბელლეთის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები: შ. შაინიძე, ფ. ბოლქვაძე, მ. კახაძე) კორტოხის შვიდწლიან სკოლას აუგეს ახალი შენობა. დეკანაშვილების

დაწყებითი სკოლისათვის ახალი შენობა ააგო აგრეთვე დეკანაშვილების კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ბოლქვაძე).

ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახ. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ვერძაძე) ქვ. ახალშენის შვიდწლიანი სკოლისათვის ააშენა 5 ოთახიანი შენობა. მახოს ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. აბულაძე) ქვედა მახოს დაწყებით სკოლას აუგო სასკოლო შენობა და მახოს შვიდწლიან სკოლას მიაშენა 4 ოთახი. აჭარის აღმართის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ვ. კირკიტაძე) ააშენა სკურდიის დაწყებითი სკოლის შენობა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და სკოლების მშენებლობის საქმეში თავი ისახელეს განათლების პროფკავშირის ქობულეთის რაიკომმა (თავმჯდომარე გ. ჯანელიძე); ლეღვას, ოჩხამურის, ხალას საშუალო, სოფ. დაგვას შვიდწლიანმა სკოლებმა (დირექტორები ი. ბაჟუნაიშვილი, მ. ცივაძე, ვ. ხინთიბიძე, ა. ანდღულაძე და ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომმა (თავმჯდომარე ქ. შავიშვილი).

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობამ" (თავმჯდომარე გ. გოგუა) გაიღო სათანადო ხარჯები ლეჩკოპის შვიდწლიანი სკოლის შენობაზე 2 საკლასო ოთახის მისაშენებლად, ეზოსა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთის შემოსაკავებლად და რადიოქსელისა და ელექტროგანათების გაყვანილობის მოსაგვარებლად. „სინოპის" ობიექტმა (უფროსი პ. ჭელიძე) სოხუმის მე-10 საშუალო სკოლას მოუწყო მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტები, გამოუყო დაზგები და სხვადასხვა მოწყობილობა. მახარაძის რაიონის თხინვალის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. რუსიეშვილი) თხინვალის შვიდწლიან სკოლას აუგო და საექსპლოატაციოდ გადასცა 10 ოთახიანი ახალი შენობა. მელექედურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ჯიჯეიშვილი) მელექედურის საშუალო სკოლას საექსპლოატაციოდ გადასცა 8 საკლასო ოთახი. ამ კოლმეურნეობამ თავისი ხარჯებით სკოლას შეუძინა 100 ცალი მერხი და სხვა ინვენტარი, რომლის ღირებულება შეადგენს 25 ათას მანეთს. ჯუმათის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ტაკიძე) გასულ წელს დაწყებული 12 ოთახიანი სასკოლო შენობა მიმდინარე წელს მოაწყო და გადასცა ჯუმათის საშუალო სკოლას. ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი თ. მგელაძე) ნასაკირალის შვიდწლიან სკოლას გადასცა 250 ათას მანეთად ღირებული 16 ოთახიანი შენობა. განახლების კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ჰაპავა) განახლების შვიდწლიან სკოლას აუგო ოროთახიანი და ბაი-

ლეთის დაწყებით სკოლას—ოთხოთახიანი შენობები, რაზედაც დაიხარჯა 130 ათასი მანეთი. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი გ. მკერვალი) ლაითურის საშუალო სკოლას გადასცა 6 საკლასო ოთახი. ლიხაურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გორდელაძე) ლიხაურის საშუალო სკოლას გადასცა ოთხოთახიანი შენობა სახელოსნოსა და მანქანათმცოდნეობის კაბინეტისათვის. ზემოაღნიშნულ სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან მუშაობა ერთ ცვლაში მიმდინარეობს.

სკოლებისათვის ორ და სამსართულიანი შენობების აგება დაიწყეს დვაბზუს (თავმჯდომარე ვ. ხომერიკი), ნატანების (თავმჯდომარე გ. წითლიძე), ასკანის (თავმჯდომარე გ. ვასაძე), ნაგომრის (თავმჯდომარე შ. სარიშვილი), ურეკის (თავმჯდომარე შ. გოგუაძე) კოლმეურნეობებმა.

კაპიტალური რემონტი ჩაუტარეს სკოლებს კონჭკათის (თავმჯდომარე ვ. ჯაბუა), ვაკიჯვრის (თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე) და შემოქმედის თავმჯდომარე ნ. ჭანუყვაძე) კოლმეურნეობებმა.

ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი შარაძენიძე) რუსთავის მე-14 საშუალო სკოლას გადასცა ორსართულიანი შენობა და მე-2 სკოლას აუშენა სათბური, რომლის ღირებულება 46 ათას მანეთს შეადგენს. ორსართულიანი შენობა გადასცა აგრეთვე ა. კ. მეტალურგიული მშენებლობის ტრესტმა (მმართველი ნ. გიორგაძე) ქ. რუსთავის მე-13 და მე-16 შვიდწლიან სკოლებს. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კომბინატმა (დირექტორი შ. ბერიშვილი) მე-5 საშუალო სკოლას მოუწყო სპორტული მოედანი, სასროლი ტირი და ცენტრალური გათბობა. „სტალკონსტრუქციის“ სამმართველომ (უფროსი ა. სივობულოვი) მე-6 და მე-11 სკოლებს მოუწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები 25—25 მოსწავლისათვის და უზრუნველყო იგი სახარატო ჩარხებით; ამავე სკოლას მოუწყო აგრეთვე ავტოკაბინეტი მოტორებით, ჭრილებით და საჭირო პლაკატებით.

სიღნაღის რაიონის მაღაროს კოლმეურნეობა "შრომამ" (თავმჯდომარე ი. უსენაშვილი) მაღაროს საშუალო სკოლას გადასცა ორსართულიანი შენობა. ჯუგაანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. მათიაშვილი) ჯუგაანის საშუალო სკოლას აუშენა 9 ოთახიანი შენობა. ი. ბ. სტალინის სახელობის ვაქირის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. გოგოლაშვილი) ვაქირის საშუალო სკოლას გადასცა სამოთახიანი შენობა. ი. ბ. სტალინის სახელობის ბოდბისხევის (თავმჯდომარე შ. ტუხაშვილი) და წითელი ოქტომბრის (თავმჯდომარე ი. ნაცვლიშვილი) კოლმეურნეობები ბოდბისხევის საშუალო

სკოლისათვის აშენებენ ტიპიურ სასკოლო შენობას 450 მოსწავლისათვის.

ზესტაფონის რაიონის საზანოს 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. ორბელაძე) საკუთარი სახსრებით 4 ახალი საკლასო ოთახი მიუმატა ტყლაპივაკის შვიდწლიან სკოლას, რის შედეგადაც 1958 წ. 1 სექტემბრიდან სკოლა ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდა. ამავე კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით შემოუღობა სკოლას ეზო და გაუკეთა ჭა. ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანამ (დირექტორი დ. ლორთქიფანიძე) ძირულის საშუალო სკოლის შენობას მიაშენა ორი ოთახი სასწავლო სახელოსნოებისათვის და უზრუნველყო იგი ძირითადი ხელსაწყო-იარაღებით და სხვა მოწყობილობით. სოფელ ფუთის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. სარალიძე) ფუთის შვიდწლიანი სკოლისათვის ამთავრებს 10 ოთახიანი შენობის აგებას, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემა ნავარაუდევია მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან. პირველი სვირის საშუალო სკოლის დირექტორის თ. წაქაძისა და ადგილკომის თავმჯდომარის ა. ცხადაძის ენერგიული მუშაობის შედეგად გადაკეთებულ იქნა სკოლის ძველი შენობა და მიემატა 8 საკლასო ოთახი.

თერჯოლის რაიონის ტყიბულჰესის და ბჟუჟაჰესის მშენებლობათა უბანმა (უფროსი ა. ბერიძე) ტყიბულჰესის შვიდწლიან სკოლას აუგო 9 ოთახიანი 284 კვ. მ ფართობის შენობა. თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადმა“ (თავმჯდომარე ლ. ბლიაძე) კაპიტალურად შეაკეთა კოლმეურნეობის ყოფილი შენობა და გადასცა იგი გოფანმთის დაწყებით სკოლას.

ვანის რაიონის გორას სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე უ. გამრეკლიძე), კოლმეურნეობისა (თავმჯდომარე კ. ჯავახაძე) და ქვედაგორის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. საკანდელიძე) პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივით სოფელ გორას მშრომელებმა აიღეს ვალდებულება და 1 სექტემბრამდე დაამთავრეს საშუალო სკოლისათვის ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება. ზედაბზვანის მშრომელებმა ააშენეს ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა 16 ოთახით, მშენებლობისათვის საჭირო თანხების ნახევარი გაიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ. ამ საქმეში ენერგიულად იმუშავეს ზედაბზვანის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. ნოსელიძემ, მასწავლებელმა ვ. ჩხაიძემ და ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. დვალიშვილმა.

ბორჯომის წყალჩამომსხმელმა ქარხანამ (დირექტორი ნ. ბოკუჩავა) და ბორჯომის გზატკეცილების სამმართველომ (უფროსი

მ. ლაპიაშვილი) ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაზე მიაშენეს ორსართულიანი შენობა 7 საკლასო ოთახით და ტიპიური სპორტული დარბაზი. ახალდაბის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. ბარძიმაძე) და სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ზ. ჯოხაძე) ახალდაბის საშუალო სკოლას კაბინეტებისა და სახელოსნოებისათვის აუშენეს 4 ოთახიანი შენობა. წაღვერის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ცინცაძე) წაღვერის საშუალო სკოლის შენობაზე დააშენა 8 საკლასო ოთახი, რის შედეგადაც სკოლა ა/წლის 1 სექტემბრიდან ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდა.

ქ. ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ (დირექტორი გ. ძიმისტარიშვილი) და მე-4 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველომ (უფროსი გ. კუბრეიშვილი) მე-8, მე-17 და მე-19 საშუალო სკოლებისათვის ააგეს სახელოსნოები. „ქუთაისის ვაჭრობამ" (დირექტორი ვ. იობიძე) მე-18 საშუალო სკოლას აუგო სპორტული დარბაზი. საავტომობილო ქარხანამ (დირექტორი შ. კიკნაძე) პირველ საშუალო სკოლას გამოუყო 2 ტონა თუნუქი და სხვა საშენი მასალა, მე-3 და მე-7 საშუალო სკოლებს გადასცა სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღები. სასადილოების ტრესტმა (უფროსი შ. ჯიბლაძე), მაუდის ფაბრიკამ (დირექტორი ა. იმედაძე), მე-4 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი ო. ბიბილეიშვილი) და სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი კ. აფრიდონიძე) მე-2, მე-6, მე-16 და 21-ე საშუალო სკოლებს აღმოუჩინეს დიდი დახმარება რემონტის ჩატარების საქმეში.

ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის შვიდწლიანი სკოლის (დირექტორი რ. გვარჯალაძე) ინიციატივით ნიგოითის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ბარამიძე) სკოლისათვის ააგო 10 ოთახიანი კაპიტალური შენობა. ლანჩხუთისა და სუფსის ჩაის ფაბრიკებმა (დირექტორები ვ. მშვიდობაძე და დ. სარიშვილი) დიდი დახმარება აღმოუჩინეს ლაშისღელის შვიდწლიან და სუფსის საშუალო სკოლებს შენობების რემონტის ჩატარების, სასწავლო სახელოსნოებისა და საცდელი ნაკვეთის კეთილმოწყობის საქმეში.

ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხაოს მარქსის სახელობის (თავმჯდომარე ლ. ჯიქია) სოფელ ზუმის (თავმჯდომარე მ. ბერაძე) და აგრეთვე სოფელ ხაბუმეს ლენინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარეები ი. შენგელია, გ. ცირდავა, ა. გულუა) კოლმეურნეობებმა აიღეს ნაფიჩხაოს, ზუმის და ხაბუმის საშუალო სკოლებისათვის ტიპიური სასკოლო შენობების აგების ვალდებულება. ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. მანია) მთელი რიგი სარემონტო სამუშაოები ჩაუტარა ლესიჭინის საშუალო და დაწყებით სკოლებს.

კარგად იმუშავეს და თვალსაჩინო დახმარება გაუწიეს სკო-

ლებს თელავის რაიონის ლოპოტმარმარილოს კარიერების სამმართველომ (უფროსი ა. ვარდოშვილი), ფიქალფხვნილის ქარხანამ (დირექტორი მ. მაჭავარიანი), ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა (დირექტორი ი. ყარაულაშვილი), თელავის მეორე საგზაო უბანმა (უფროსი ა. საგანიშვილი), ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. გოგიძე), ფშავლის, რუისპირის, ლაფანყურის და კურდღელაურის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები პ. კერვალიშვილი, ს. ძამუკაშვილი, ბ. ლეშკაშელი, გ. ცხადაძე).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლის სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

I. 1958—1959 სასწავლო წლისათვის მზადებისას სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით:

1. აბაშიძე შალვა შეღეიბის ძე—ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

2. ბარამიძე ნიკოლოზ ზევარის ძე—ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

3. ბასილაძე მამედ იუსუფის ძე—ქობულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

4. ბერიძე აპოლონ მიხეილის ძე—ტყიბულჰესისა და ბჟუანჰესის მშენებლობის უბნის უფროსი;

5. ბოკუჩავა ნიკოლოზი დოროთეს ძე—ბორჯომის წყალჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი;

6. გვარჯალაძე რევაზ ევგენის ძე—ნიგოითის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი;

7. გიორგაძე ნესტორ ასალოს ძე—ა/კ მეტალურგიული მშენებლობის ტრესტის მმართველი;

8. კახიძე მევლუდ ყადირის ძე—ხულოს რაიონის სოფ. ბეღლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

9. კიკნაძე შალვა დავითის ძე—ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი;

10. კონცელიძე თევრათ მევლუდის ძე—ქედის რაიონის დანდალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

11. ლაპიაშვილი მალხაზ გიორგის ძე—ბორჯომის გზატკეცილების სამმართველოს უფროსი;

12. მათიაშვილი ირაკლი იოსების ძე—სიღნაღის რაიონის ჯუგაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

13. მგელაძე თეოფილე ბარნაბის ძე—მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

14. მგელაძე შოთა ყადირის ძე—ხულოს რაიონის საციხურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

15. უსეინაშვილი იოსები ხვთისოს ძე—სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროს „შრომის" კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

16. ფუთურიძე ივანე სიმონის ძე—ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

17. ყურშუბაძე ხასან ისლამის ძე—ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

18. ცხადაძე ანდრო კონსტანტინეს ძე—ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლის აღგილკომის თავმჯდომარე;

19. ძიმისტარაშვილი გიორგი სოკრატეს ძე—ქ. ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დირექტორი;

20. წაქაძე თომა სილოვანის ძე—ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლის დირექტორი;

21. ჯანელიძე გიორგი სილიბისტროს ძე—განათლების პროფკავშირის ქობულეთის რაიკომის თავმჯდომარე:

II. 1958—1959 სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქობულეთელთა მოწოდების საპასუხოდ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით:

1. აბულაძე შოთა შუქრის ძე—ბათუმის რაიონის სოფელ მახოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

2. ავალიანი რევაზ ისმაილის ძე—ქედის რაიონის დანდალოს შვიდწლიანი სკოლის დირექტორი:

3. ანანიძე შოთა ოსმანის ძე—ქედის რაიონის ცხმორისის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი:

4. ანდრიადი გერასიმე პანაიოტის ძე—ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვას კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

5. ანდღულაძე აბესალომ კირილეს ძე—ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვას მე-2 შვიდწლიანი სკოლის დირექტორი;

6. აფრიდონიძე კონსტანტინე გიორგის ძე—ქ. ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი;

7. ბარძიმაძე ქრისტეფორე სერგოს ძე—ბორჯომის რაიონის ახალდაბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

8. ბაჟუნაიშვილი მიხეილ ჯემალის ძე—ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

9. ბაჟუნაიშვილი ილია მურადის ძე—ქობულეთის რაიონის ლეღვას საშუალო სკოლის დირექტორი;

10. ბერიშვილი შალვა გურგენის ძე—ქ. რუსთავის რკინაბეტონის კონსტრუქციის კომბინატის დირექტორი;

11. ბერაძე მელენტი გიორგის ძე—ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

12. ბლიაძე ლევან ალექსანდრეს ძე—თერჯოლის რაიონის „განთიადის„ კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

13. ბიბილეიშვილი ოთარ ანდრიას ძე—ქ. ქუთაისის მე-4 სამშენებლო ტრესტის მმართველი;

14. ბოლქვაძე დაუდ იაკოფის ძე—ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

15. ბოლქვაძე ფეხრი ზექერიას ძე—ხულოს რაიონის სოფ. პაკსაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

16. გამრეკლიძე უშანგი სიმონის ძე—ვანის რაიონის გორას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

17. გიორგაძე სარა ნიკოლოზის ასული—ქედის რაიონის ქვედა აგარის დაწყებითი სკოლის გამგე;

18. გოგიბერიძე შოთა სიმონის ძე—მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

19. გოგოლაშვილი გიორგი ივანეს ძე—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

20. გოგიძე ალექსი ალექსის ძე—თელავის რაიონის ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

21. გოგუა გრიგოლი პავლეს ძე—სოხუმის რაიონის „მეგობრობის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

22. გობრონიძე თეიმურაზ დავითის ძე— მახარაძის რაიონის თხინვალის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი;

23. გორდელაძე ამბროსი ივანეს ძე—მახარაძის რაიონის ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

24. გულუა აკაკი ვასილის ძე—ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

25. დვალიშვილი სერგო ბარნაბის ძე — ვანის რაიონის ზედაბზვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

26. დევაძე მემედ დურსუნის ძე — ქედის რაიონის აგარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

27. ვარდიაშვილი ალექსანდრე ლევანის ძე — თელავის ლოპოტ-მარმარილოს კარიერის სამმართველოს უფროსი;

28. ვასაძე გიორგი აპოლონის ძე — მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

29. ვერძაძე ალი იოსების ძე — ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

30. ზაქარაძე მიხეილ ოსმანის ძე — ქედის რაიონის ხარაულის საშუალო სკოლის დირექტორი;

31. იმედაძე აფრასიონ ილარიონის ძე — ქ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დირექტორი;

32. იობიძე ვასილ იასონის ძე — ქ. ქუთაისის „ვაჭრობის" დირექტორი;

33. კერვალიშვილი პარმენ გიორგის ძე — თელავის რაიონის ფშავლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

34. კირკიტაძე ვლადიმერ შემანის ძე — ბათუმის რაიონის აჭარის აღმართის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

35. კონცელიძე ისმაილ შერიფის ძე — ქობულეთის რაიონის ხალას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

36. ლეშკაშელი ბიჭიკო ალექსის ძე — თელავის რაიონის ლაფანყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

37. ლორთქიფანიძე დავით ფილიმონის ძე — ზესტაფონის რაიონის ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის დირექტორი;

38. მაჭავარიანი მამია გრიგოლის ძე — თელავის ფიქალფხვნილის ქარხნის დირექტორი;

39. მგელაძე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე — ქ. ქობულეთის მე-5 შვიდწლიანი სკოლის დირექტორი;

40. მშვიდობაძე ვახტანგი კონდრატეს ძე — ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა ფაბრიკის დირექტორი;

41. ნაცვლიშვილი ივანე მიხეილის ძე — სიღნაღის რაიონის „წითელი ოქტომბრის" კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

42. ნოსელიძე ივანე ლევანის ძე — ვანის რაიონის ზედაბზვნის საშუალო სკოლის დირექტორი;

43. ორბელაძე ლევან ვიქტორის ძე — ზესტაფონის რაიონის საზანოს 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

44. პაპავა მიხეილი სერგოს ძე—მახარაძის რაიონის განათლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

45. რომანიძე ლევან სიმონის ძე—ქობულეთის რაიონის ლელვას კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

46. რუსიეშვილი გიორგი ვლადიმერის ძე—მახარაძის რაიონის თხინვალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

47. საგინაშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე—თელავის რაიონის მე-2 საგზაო უბნის უფროსი;

48. საკანდელიძე გედევან დავითის ძე—ვანის რაიონის ქვედაგორას საშუალო სკოლის დირექტორი;

49. სარალიძე შალვა ალექსანდრეს ძე—ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

50. სარიშვილი დავით არსენის ძე—ლანჩხუთის რაიონის სუფსის ჩაის ფაბრიკის დირექტორი;

51. სივობულოვი ანატოლი ნიკოლოზის ძე—ქ. რუსთავის „სტალკონსტრუქციის“ სამმართველოს უფროსი;

52. სურმანიძე შაქრო ასლანის ძე—ბათუმის რაიონის ახალშენის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

53. ტუსაშვილი შალვა მიხეილის ძე—ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

54. ყარაულაშვილი იოსებ გიორგის ძე—თელავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი;

55. ყაჭეიშვილი ელენე ომენის ასული—ქობულეთის I საშუალო სკოლის დირექტორი;

56. ყურშუბაძე ვაჟა იოსების ძე—ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი;

57. შავიშვილი ქეთევან კარპეზის ასული—ქობულეთის I საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე;

58. შაინიძე მაისმაილ აღალის ძე—ხულოს რაიონის სოფელ კორტოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

59. შენგელია ზურაბ საბურას ძე—ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

60. ჩხაიძე ვარდენ გიორგის ძე—ვანის რაიონის ზედაბზვანის საშუალო სკოლის დირექტორი;

61. ცივაძე მამედ ხარიტონის ძე—ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საშუალო სკოლის დირექტორი;

62. ცინცაძე შახველედ ხასანის ძე—ქედის რაიონის ცხმორისის შვიდწლიანი სკოლის დურგალი;

63. ცინცაძე სამუილ მერაბის ძე—წაღვერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

64. ცირდავა დოროთე არსენის ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

65. ცეცხლაძე შოთა თევრათის ძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

66. ცხადაძე გერვასი ონისიმეს ძე — თელავის რაიონის კურდ-ჯელაურის ენგელსის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

67. ძამუკაშვილი საქულა ივანეს ძე — თელავის რაიონის რუისპირის „ყურძენთავთავის" კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

68. წითლიძე გივი აკაკის ძე — მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

69. ჭანუყვაძე ნიკოლოზ ვარლამის ძე — მახარაძის რაიონის შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

70. ჭეიშვილი ვახტანგი ალექსის ძე — მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

71. ჭელიძე პეტრე ვარლამის ძე — სოხუმის ობიექტ „სინოპის" უფროსი;

72. ხინთიბიძე ვარლამ ფილიპეს ძე — ქობულეთის რაიონის ხალას საშუალო სკოლის დირექტორი;

73. ხინიკაძე მამია სულეიმანის ასული — ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი;

74. ხომერიკი ვალერიან ლევარსის ძე — მახარაძის რაიონის დვაბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

75. ჯაბუა ვასილი ბესარიონის ძე — მახარაძის რაიონის კონჭკათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

76. ჯავახაძე კარპო გიორგის ძე — ვანის რაიონის ფორას კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

77. ჯაში სულეიმან დურსუნის ძე — ქობულეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

78. ჯიბლაძე შალვა შერმანდინის ძე — ქ. ქუთაისის სასადილოების ტრესტის უფროსი;

79. ჯინჭარაძე რიზა ხასანის ძე — ქობულეთის რაიონის აჭყვისთავის საშუალო სკოლის დირექტორი;

80. ჯიქია დოროთე პავლეს ძე — ჩხოროწყუს რაიონის ნაფიჩხაოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

81. ჯოხაძე ზაქარია სოლომონის ძე — ბორჯომის რაიონის ახალდაბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე;

III. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებათა გამგეებსა და შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებს:

ა) ფართოდ გაშალონ ახალი 1959—1960 სასწავლო წლისათვის მზადება; მიაღწიონ საწარმოებისა და დაწესებულებების ახალი ვალდებულებების აღებას და მათ დროულად შესრულებას;

ბ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ წარმოებებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც ახალი სასკოლო შენობების აგება ან მიშენება იკისრეს და გეგმის მიხედვით 1959 წელს უნდა დაასრულონ;

გ) იმ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის შესაბამისმა რაიკომებმა, სადაც გასული სასწავლო წლისათვის მზადებისას აღებული ვალდებულებები არ შესრულდა ყველა ღონისძიება გაატარონ აღებული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

IV. დაევალოს სკოლების დირექტორებს (გამგეებს) და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს საქმიანი კავშირი დაამყარონ იმ წარმოება-დაწესებულებებთან, რომლებმაც 1958—1959 სასწავლო წლისათვის აიღეს ვალდებულებანი და მიაღწიონ ამ ვალდებულებათა განუხრელად შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

განათლების, უმაღლესი სკოლის
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფესიული კავშირის
საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. ი. მაღლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 31

1959 წლის 15 იანვარი

1958 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1958 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყო 410 სკოლა, სკოლისგარეშე დაწესებულება, ნორჩი ნატურალისტი, ნორჩი ტექნიკოსი, დაწესებულების ხელმძღვანელი და მასწავლებლები.

1958 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი და დამტკიცებული იყო ფართო ჩვენებით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, ქ. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურები.

მასიური ჩვენებით დამტკიცებული იყო თელავის რაიონის ფშაველის, ვანთის, ახმეტის რაიონის მატნის, მცხეთის რაიონის ძველი ქანდის, გორის რაიონის მეჯვრისხევის, ქვეშის, ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის, შხეფის, ზანის, ძველი სენაკის, ხაშურის რაიონის გომის, ქვიშხეთის, საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს და ქ. თბილისის 102-ე სკოლების ნორჩ ნატურალისტთა წრეები და წრის ხელმძღვანელები, ხოლო ქ. ქუთაისის მე-3, მე-4, თელავის რაიონის ქვემო ხოდაშნის, წინანდლის, მახარაძის რაიონის ცხემლის ხიდის, გორის რაიონის კარალეთის, ორჯონიკიძის რაიონის კიცხის, ხაშურის რაიონის ვაყას, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის, ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის, საჭამიასერის, კაჭრეთის რაიონის კაჭრეთის, სამტრედიის რაიონის სამტრედიის 1, ჭაგანის, კულაშის,

სიღნაღის რაიონის წნორის და სხვა სკოლებიდან — ნორჩი ნატურალისტები და ნორჩი ტექნიკოსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგენილი და დამტკიცებული იყო აგრეთვე სტალინირის ნორჩ ტექნიკოსთა, სამტრედიის პიონერთა სახლის, ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, აჭარის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წრეები და ცალკეული ნორჩი ნატურალისტები და ნორჩი ტექნიკოსები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნაყოფიერი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ექსპონატების მომზადების საქმეში. სადგური ამ გამოფენაზე ფართო ჩვენებით მონაწილეობს 1954 წლიდან; მაღალი შეფასება დაიმსახურა 1958 წლის გამოფენაზე წარდგენილმა 43 ექსპონატმა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის 1958 წლის 23 დეკემბრის № 408 დადგენილებით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური დაჯილდოებულია II ხარისხის დიპლომით, სატვირთო ავტომანქანით, ხოლო სადგურის დირექტორი ამხ. გ. ეპიტაშვილი პატარა ოქროს მედლითა და რადიო მიმღებით.

დაჯილდოებული არიან აგრეთვე ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე — კინოდანადგარით, დირექტორი ამხ. ო. ბოკერია — ბრინჯაოს მედლითა და მაჯის საათით; სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური — კინოდანადგარით, სადგურის დირექტორი ამხ. შ. ლემკაშელი — დიდი ვერცხლის მედლითა და მაჯის საათით; ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ქიმიის ლაბორატორიის გამგე ამხ. კლ. უნგიაძე და ფოტო-ლაბორატორიის გამგე ამხ. შ. კვირიკაშვილი — პატარა ვერცხლის მედლებით.

ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოებული არიან: ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი ამხ. შ. მანგიაშვილი, ამავე სადგურის დირექტორის მოადგილე ბ. გოგიჩაიშვილი, მეგობარ ტნეობის კაბინეტის გამგე ამხ. ს. ჟღენტი, მეხილეობის კაბინეტის გამგე ამხ. მ. ღარიბაშვილი; ნორჩი ნატურალისტები ჯ. ბასიშვილი, თ. კუჭავა, ვ. ლოლუა, ე. ხიდაშელი, კ. ლორთქიფანიძე და ნ. ციციშვილი (ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური), ტ. ვოლკოვა (ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე); ნ. კობახიძე და გ. მარგიშვილი (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური); ზ. ბოგათელი და ვ. ნამორაძე (სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური).

1958 წლის გამოფენის საგზურით დაჯილდოებულ იქნა და გაიგზავნა ქ. მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად 150 მოსწავლე და მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საქმეში თელავის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ამხ. ალ. ნადაშვილი) და გორის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ამხ. ავ. ჩხეიძე) კარგი მუშაობა.

სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში გეგეჭკორის, წალენჯიხის, აბაშის, ყვარლის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ლენტეხის, მესტიის, ცაგერის, კასპის, ქარელის, ახალქალაქის, ადიგენის რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა განიხილონ ეს ბრძანება კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი 1959 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის წარმატებით მოსამზადებლად.

2. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა სადგურმა (ამხ. შ. მანგიაშვილი):

ა) დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საქმეში და უზრუნველჰყოს გამოფენის მასალების ზემდგომ ორგანოში დროულად წარდგენა;

ბ) ბრძანებაში აღნიშნულ იმ რაიონებში, რომელთაც სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, მიავლინოს სადგურის მუშაკები ადგილზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) უახლოეს დროში უზრუნველყოს დაჯილდოებულთათვის მედლების, სიგელებისა და თასიანი საჩუქრების გადაცემა საზეიმო ვითარებაში.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების საქინისტროსადმი

№ 47

1959 წლის 19 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ

§ 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობის დებულება დამტკიცდეს.

§ 2

დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას გაუგზავნოს განათლების სამინისტროს სისტემის ყველა საბავშვო სახლს დამხმარე სასოფლო მეურნეობის დამტკიცებული დებულება.

§ 3

საბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლა-ინტერნატებმა 1959 წლის 20 იანვრიდან იხელმძღვანელონ § 1 დასახელებული დებულებით.

§ 4

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახ. ლების დამხმარე სასოფლო მეურნეობის დამტკიცებული დებულება გამოქვეყნდეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულის მორიგ ნომერში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 16 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
განათლების მინისტრის 1959 წლის 19
იანვრის № 47 ბრძანებით.

დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობისა

I საერთო დებულებანი

1. თითოეულ სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლთან მოეწყობა დამხმარე სასოფლო მეურნეობა, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ბავშვთა კვება და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. სასკოლო ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი დამხმარე მეურნეობას გამოიყენებს აგრეთვე აღსაზრდელთა შრომითი სწავლებისათვის.

2. საბავშვო სახლების მიწის ნაკვეთის შესახებ არსებულ მითითებათა საფუძველზე ადგილობრივი ორგანოების მიერ საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობისათვის გამოიყოფა მიწის ფართობი სახელმწიფო ფონდის, სახელმწიფო სატყეო ფონდის თავისუფალი მიწებიდან ან სხვა წყაროებიდან და ეს ფართობი, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო, სარაიონო, საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადაეცემა საბავშვო სახლებს მუდმივ სარგებლობაში.

საბავშვო სახლის ახლოს სახელმწიფო ფონდის ან სახელმწიფო სატყეო ფონდის თავისუფალი მიწების უქონლობის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო არტელის (კოლმეურნეობის) საერთო კრების გადაწყვეტილებით მიწის ფართობი საბავშვო სახლისათვის შეიძლება გამოყოფილ იქნეს ამ არტელის მიწებიდან. არტელის გადაწყვეტილებას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო, სარაიონო, საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი ან ასსრ მინისტრთა საბჭო.

3. საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობა რეგისტრაციაში ტარდება დადგენილი წესით სათანადო საფინანსო ორგანოებში და საოლქო, სარაიონო, საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიტანება გეგმიან მომარაგებაში მარცვლეულით, სასუქით, ქიმიკატებით, კონცენტრირებული საკვებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, იარაღითა და მანქანებით, აგრეთვე საშენი მასალით.

4. საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის მიწის ნაკვეთის ზომა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საჭიროებს საბავშვო სახლი კვების პროდუქტებს და საკვებს მუშა და პროდუქციული პირუტყვისათვის.

5. საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობა შეინახება სპეციალური სახსრებით, რაც გათვალისწინებულია განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით, ანდა შეიძლება არსებობდეს სამეურნეო ანგარიშზე.

II. დამხმარე სასოფლო მეურნეობის საორგანიზაციო საკითხები

6. საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის საწარმოო მომსახურება სასკოლო ასაკის ბავშვთა სახლებში ხორციელდება საშუალო და უფროსი ასაკის აღსაზრდელთა მიერ, აგრეთვე დაქირავებული საშტატო და სეზონური მუშებით.

7. საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის მუდმივი და სეზონური მუშების შტატი განისაზღვრება დასამუშავებელი მიწის ზომით, ბაღით, ბოსტნით, პირუტყვის რაოდენობით და სხვა მონაცემებით. ამ შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო შრომის გეგმით დაწესებული რაოდენობის ფარგლებში.

III. დამხმარე მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმა

8. საბავშვო სახლის დამხმარე სასოფლო მეურნეობა მრავალდარგობრივ საწარმოს წარმოადგენს. მას შეიძლება ჰქონდეს: 1) მემინდვრეობა საკვები თესლბრუნვით; 2) საწარმოო დანიშნულების ბოსტნეულის ნაკვეთი და ხეხილ-კენკრის ბაღი; 3) მეწველი საქონლის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმები; 4) საფუტკრე; 5) კვალსათბური მეურნეობა და სხვ.

9. დამხმარე მეურნეობა აიგება საწარმოო-საფინანსო გეგმის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანო დაქვემდებარების მიხედვით.

10. სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს 1949 წლის

29 აგვისტოს № 11—012 განმარტების საფუძველზე საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობანი თავისუფლდება სახელმწიფოსადმი ველგვარი გადასახადისაგან, მათ შორის ბრუნვითი გადასახადისაგანაც.

11. საბავშვო სახლის დამხმარე სასოფლო მეურნეობის პროდუქცია იმის გამოკლებით, რაც საჭიროა თვით დამხმარე მეურნეობისათვის (თესლი, საკვები და სხვ.), მოხმარდება აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებას ცენტრალიზებულ ფონდებში ჩაუთვლელად (სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1944 წლის 21 აპრილის № 152 ბრძანება), აგრეთვე საბავშვო სახლისა და დამხმარე მეურნეობის თანამშრომელთა კვებას, რაც მოეწყობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე.

12. არსებულ მითითებათა შესაბამისად დამხმარე მეურნეობა, ამ დებულების მე-11 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თავის პროდუქციას საბავშვო სახლს აწვდის საგეგმო თვითღირებულებით, რაც არ უნდა აღემატებოდეს საცალო ფასებს სავაჭრო დარიცხვის გამოკლებით.

13. საბავშვო სახლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ დამხმარე მეურნეობიდან ზედმეტად დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეიძლება გადაეცეს სხვა საბავშვო დაწესებულებებს საცალო ფასებში სავაჭრო დარიცხვის გამოკლებით, ან სარეალიზაციოდ ჩაბარდეს სავაჭრო ქსელს საკომისიო საფუძველზე.

IV. დამხმარე სასოფლო მეურნეობის სახსრები

14. საბავშვო სახლის დამხმარე სასოფლო მეურნეობის სახსრებს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი.

15. დამხმარე მეურნეობის სახსრების ხარჯვა წარმოებს საწარმოო-საფინანსო გეგმისა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მტკიცე შესაბამისობით.

16. არსებულ განკარგულებათა შესაბამისად საბავშვო სახლის დამხმარე სასოფლო მეურნეობის შემოსავალი იხარჯება:

ა) მოწყობილობისა და პირუტყვის შესაძენად, აგრეთვე საბავშვო სახლის დამხმარე ნაგებობათა და სამეურნეო შენობათა ასაგებად საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, კაპიტალდაბანდებათა ფინანსირების გეგმის გარეშე;

ბ) საბავშვო სახლის აღსაზრდელთა კვების გასაუმჯობესებლად კვებისათვის დაწესებულ ასიგნებათა გარეშე, აგრეთვე ბავშვებთან კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების გასატარებლად — ორ მანეთამდე დღეში თითოეულ ბავშვზე.

17. დამხმარე სასოფლო მეურნეობის გასავლის დოკუმენტები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დოკუმენტებს ხელს აწერენ საბავშვო სახლის დირექტორი და ბუხჰალტერი, აგრეთვე დასმულია საბავშვო სახლის ბეჭედი.

V დამხმარე სასოფლო მეურნეობის აღრიცხვა და ანგარიშგება

18. საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობებში აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაწესებული წესის მიხედვით.

VI. დამხმარე სასოფლო მეურნეობის ხელმძღვანელობა

19. დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელია საბავშვო სახლის დირექტორი.

30. საბავშვო სახლის დირექტორია დამხმარე სასოფლო მეურნეობის ყველა ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა განმკარგულებელი და უფლება აქვს:

ა) დახარჯოს საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის სახსრები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

ბ) მოახდინოს ოპერაციები სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში, ხელი მოაწეროს ჩეკებს, საგადასახადო მოთხოვნილებებს, ანგარიშებს—ფაქტურებს, დადოს ხელშეკრულებები საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობის მომსახურებაზე და სხვა;

გ) დაიქირაოს და დაითხოვოს დამხმარე მეურნეობის მუშები.

დ) დაიცვას დამხმარე მეურნეობის ინტერესები სასამართლოში, არბიტრაჟსა და სხვა დაწესებულებებში.

21. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ასსრ განათლების სამინისტროები და საოლქო განათლების განყოფილება განიხილავენ და ამტკიცებენ საბავშვო სახლების დირექტორების მიერ წარდგენილ დამხმარე სასოფლო მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშგებასა და ბალანსებს; ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ აგრეთვე დამხმარე მეურნეობების საქმიანობას, რისთვისაც ატარებენ გამოკვლევებს, რევიზიებსა და სხვ.

VII დამხმარე სასოფლო მეურნეობის ლიკვიდაცია

22. საბავშვო სახლის დამხმარე სასოფლო მეურნეობის ლიკვიდაცია ხდება ოლქის განათლების განყოფილების ან ასსრ განათლების სამინისტროს წარდგენით; ლიკვიდაცია მტკიცდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 56

1959 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისის პირველ, მე-4, 23-ე და 55-ე საშუალო სკოლების II კლასებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქ. თბილისის პირველ, მე-4, 23-ე და 55-ე საშუალო სკოლების II კლასებში უცხო ენების სწავლება ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მასწავლებლები კარგად ფლობენ ენას, რომელსაც ისინი ასწავლიან და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული გავლილი მასალა. მათ შეუძლიათ აღწერონ საკლასო ოთახი, სასწავლო ნივთები, ოჯახი, ტანსაცმელი, ადამიანის სხეულის ნაწილები, საჭმელები, ცხოველები, წლის დროები და სხვ., იციან ლექსები და სიმღერები, ესმით მასწავლებლის მიმართვა და შეუძლიათ მარტივი კონსტრუქციის წინადადების აგება.

მაგრამ სკოლების მუშაობაში არის ზოგიერთი ხარვეზი. ბევრი მოსწავლე განაგრძობს კერძო მასწავლებელთან მომზადებას, რაც მბოლოდ სწავლების არასათანადო დონეზე დაყენებით უნდა აიხსნას. პირველი სკოლის II კლასების იმ ჯგუფებში, რომლებშიც მასწავლებლები ლ. პაქსაშვილი და მ. შარაშენიძე ასწავლიან, 24 მოსწავლიდან 17-ს ჰყავს კერძო მასწავლებელი.

სკოლები ჯერ კიდევ არ არიან მომარაგებული სახელმძღვანელოებით, სათანადო თვალსაჩინოებისათვის აუცილებელი მასალით, მაგნიტოფონით, პატეფონითა და ფირფიტებით. სასკოლო ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება კლასგარეშე საკითხავი სათანადო ლიტერატურა და ლექსიკონები.

რსფსრ ამავე ტიპის სკოლებისათვის გამოიცა სახელმძღვანელო გერმანულ ენაში. ეს სახელმძღვანელოები მიღებულია, მაგრამ მეორე კლასის მოსწავლეების მიერ რუსული ენის არცოდნის გამო გადაკეთების გარეშე ქართულ სკოლებში მათი გამოყენება შეუძლებელი ხდება. ამიტომ გერმანული ენის მასწავლებლები, ისევე როგორც ინგლისური და ფრანგული ენებისა, იძულებული არიან გამოიყენონ ქართული სკოლის V კლასის სათანადო სახელმძღვანელო.

აღნიშნულ სკოლებში უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატური დახმარება გაუწიონ უცხო ენების მასწავლებლებს.

უცხო ენის მასწავლებლებმა მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ გაკვეთილზევე იქნეს ათვისებული გადაცემული მასალა და არ გახდეს საჭირო კერძო მასწავლებლების დახმარება.

3. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ (ამხ. დ. ჯავახია) მიიღოს ზომები სახელმძღვანელოების დროულად გადმოკეთების უზრუნველსაყოფად.

მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველჰყოს აღნიშნული სკოლების თვალსაჩინოებისათვის საჭირო მასალით მომარაგება ასიგნებული თანხების ფარგლებში.

5. ქ. თბილისის განათლების განყობილებამ (თ. მათიაშვილი) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, რათა დასახელებული სკოლები უზრუნველყოფილ იქნან მაგნიტოფონით, პატეფონითა და ფირფიტებით.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის კომიტეტის წინაშე, რათა რეგულარულად ეწყობოდეს გადაცემები ტელევიზიით უცხო ენების შემსწავლელთა დასახმარებლად.

7. სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 16 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

გ. ნ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 59

1959 წლის 21 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალებმა გასულ წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის.

ფილიალები მუშაობას აწარმოებდნენ წლიური გეგმების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებდნენ სამეურნეო-ადმინისტრაციულ, სემინარულ-მეთოდიკურ და საკურსო მუშაობის საკითხებს. 1958 წელს ჩატარდა ქუთაისის ფილიალის საბჭოს 7, სოხუმის ფილიალის—5 სხდომა.

ფილიალებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს კურსების ლექტორთა შემადგენლობის გაუმჯობესებისა, საკურსო და სემინარულ-მეთოდიკური მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

გასულ წელს ქუთაისის ფილიალის მიერ მოწყობილ დახელოვნების კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა—1243, სოხუმის ფილიალის მიერ მოწყობილ კურსებზე—216 მასწავლებელმა.

გასულ წელს ქუთაისის ფილიალის მიერ შესწავლილ იქნა 420 მასწავლებლის მუშაობა, მოსმენილ იქნა 525 გაკვეთილი. ფილიალის მიერ მოწვეულ რაიონულ (საქალაქო) მასწავლებელთა სემინარებზე წაკითხულ ლექციებს დაესწრო 2672 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი. ამავე პერიოდში სოხუმის ფილიალის მიერ შესწავლილ იქნა 302 მასწავლებლის მუშაობა, მოსმენილ იქნა 447 გაკვეთილი, რაიონულ (საქალაქო) სემინარებზე წაკითხულ ლექციებს დაესწრო 886 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი.

აღსანიშნავია ქუთაისის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკისა და მათემატიკის, დაწყებითი სკოლებისა და სოხუმის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდ. კაბინეტების ნაყოფიერი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სოხუმისა და ქუთაისის ფილიალების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

ფილიალების სასწავლო-მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაა სოხუმის ფილიალში, რომელსაც მუშაობა უხდება ორ ოთახში. ამ ფილიალს არ აქვს ოთახები კურსების მსმენელთა სამეცადინოდ და საცხოვრებლად, უფრო მეტიც, მას არ გააჩნია ხელსაწყო-იარაღებისა და სამეურნეო ინვენტარის შესანახი ბინაც კი.

სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქუთაისის ფილიალს გააჩნია პოლიტექნიკური კაბინეტი, მაგრამ არ აქვს პოლიტექნიკური სახელოსნოები. სოხუმის ფილიალში დღემდე ვაკანტურია ფიზიკისა და მათემატიკის მეთოდკაბინეტის გამგის თანამდებობა.

სოხუმის ფილიალს შემოკრებილი და მუშაობაში ჩაბმული არ ჰყავს აქტივი, საჭირო კონტაქტი არ არის ფილიალსა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს შორის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ფილიალის მთელ საქმიანობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელს აფხაზეთის განათლების მუშაკთა მთელი კონტინგენტისათვის ფილიალში დამოუკიდებლად დახელოვნების კურსების მხოლოდ 6 ჯგუფი გაიხსნა. არ შესრულდა აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა გადამზადების გეგმა, ხოლო აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები სრულიად არ მოწყობილა.

ადგილი ჰქონდა ქუთაისისა და სოხუმის ფილიალების მიერ მოწყობილ კურსებზე გასაგზავნი მუშაკების არასწორად შერჩევისა და კურსებზე დაგვიანებით მივლინება-გამოცხადების შემთხვევებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო 33 მასწავლებელს არ მიეცა დახელოვნების კურსების დამთავრების მოწმობა (მათ შორის 16 მასწავლებელს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო), რომელთა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არაფერი აცნობეს.

ფილიალები საკმაო დახმარებას არ უწევენ რაიონისა და ქალაქის პედაგოგიურ კაბინეტებს, სკოლა-ინტერნატებსა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს, აგრეთვე დახელოვნების კურ-

სებგავლილ და დამწყებ მასწავლებლებს; არა საკმაოდ ზრუნავენ მოწინავეთა გამოცდილების შესწავლისა და მათი მუშაობის განზოგადება-გავრცელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალების დირექტორებს:

ა) შეიმუშაონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის წარმატებით გატარების საქმეში განათლების მუშაკებისადმი საჭირო დახმარების გასაწევად;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები ფილიალების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო მასალებით და სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფისათვის; ქუთაისის ფილიალში პოლიტექნიკური სახელოსნოების მოწყობისა, ხოლო სოხუმის ფილიალისათვის შესაფერისი ბინის გამონახვისათვის;

გ) ფილიალების მუშაობა აწარმოონ განათლების დარგში ამჟამად დაყენებული ამოცანების შესაბამისად შედგენილი გეგმის საფუძველზე. ფილიალების საქმიანობაში ფართოდ ჩააბან აქტივი და უზრუნველჰყონ მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება; აამაღლონ ფილიალების საბჭოებისა და მეთოდკაბინეტების მუშაობის ხარისხი, გადაჭრით გააძლიერონ კავშირი რაიონულ (საქალაქო) პედაგოგიურ კაბინეტებთან და სკოლის მუშაკებთან;

დ) გაატარონ ღონისძიებანი განათლების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მეთოდურ მუშაობის წარმოებასთან ერთად საჭირო ყურადღება მიაქციონ განათლების მუშაკთა ცოდნის შევსებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით;

ე) მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სალექციო თემატიკის შერჩევასა და რაიონული (საქალაქო) სემინარების ჩატარებას, აგრეთვე ზეპირი და წერილობითი კონსულტაციების წარმოებას. სისტემატურად შეისწავლონ სკოლებისა და სასწავლო-დაწესებულებათა საქმიანობა, ღრმა ანალიზი გაუკეთონ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და წარმატებებს, მისცენ საჭირო მითითებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთან, უზრუნველჰყონ მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატებისა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების, აგრეთვე დახელოვნების კურსებგავლილ და დამწყებ მასწავლებელთა მუშაობას. სისტემატურად შეისწავლონ მათი საქმიანობა და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაკების იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიკურ მეთოდიკური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ზ) მიიღონ საჭირო ზომები დახელოვნების კურსების მუშაობის გასაუმჯობესებლად; კურსების მუშაობაში ჩააბან უმაღლესი სასწავლებლების ის მუშაკები, რომელთაც აქვთ სკოლაში მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე მოწინავე პრაქტიკოსი მასწავლებლები. საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ მოწვეულ ლექტორებს. დააწესონ მტკიცე კონტროლი მათ მუშაობაზე და უზრუნველჰყონ ლექციების ხარისხის ამაღლება და პრაქტიკული მუშაობის გაფართოება-გაუმჯობესება; მეტი ყურადღება მიაქციონ აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო სწავლების საკითხებს, უზრუნველჰყონ კურსების მსმენელები შესაფერისი სამეცადინო და საცხოვრებელი ბინებით, მეცნიერულ-პოპულარული და მეთოდური ლიტერატურით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით;

თ) სრულ წესრიგში იქონიონ ფილიალების დოკუმენტაცია და საქმის წარმოება, დროულად აწარმოონ ანგარიშების წარდგენა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და განათლების სამინისტროში, მტკიცე კონტროლი დააწესონ სამეურნეო-ადმინისტრაციულ და ფინანსიურ საქმიანობაზე, მტკიცედ დაიცვან საკასო-საფინანსო დისციპლინა, უზრუნველჰყონ ფულადი თანხებისა და მასალების დანიშნულებისამებრ და რაციონალურად გამოყენება.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ჩუკბარი):

ა) ქმედითი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალს და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მისი ნაყოფიერი მუშაობის უზრუნველსაყოფად; მიიღოს საჭირო ზომები ფილიალისათვის შესაფერისი ბინის გამონახვისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნა-განმტკიცებისათვის;

ბ) ფილიალის ხელმძღვანელობასთან ერთად ა/წ 1 თებერვლამდე უზრუნველჰყონ ფიზიკა-მათემატიკის მეთოდკაბინეტის გამგის შერჩევა და დანიშვნა;

გ) ფილიალთან ერთად გაატაროს საჭირო ღონისძიებანი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის განათლების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების კონ-

ტინგენტის გეგმის შესრულებისა და კურსების ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს საჭირო დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმისა და ქუთაისის ფილიალებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულების საქმეში, ამასთან უზრუნველჰყონ საკურსო ღონისძიებათა კონტინგენტის გეგმის შესრულება, კურსებზე გასაგზავნთა სწორად შერჩევა და დროულად მივლინება.

4. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (დირექტორი ამხ. გ. ასპინძელაშვილი) გააძლიეროს დახმარება და ხელმძღვანელობა სოხუმისა და ქუთაისის ფილიალებისადმი და მიიღოს კონკრეტული ზომები განათლების ხაზით ამჟამად მდგომი ამოცანების შესაბამისად ფილიალების მუშაობის წარმართვისათვის.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველჰყოს სოხუმისა და ქუთაისის ფილიალების მომარაგება საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, მასალებითა და ინვენტარით (ბიუჯეტის ფარგლებში).

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) უზრუნველჰყოს სოხუმისა და ქუთაისის ფილიალების შეუფერხებელი დაფინანსება, განათლების სამინისტროს ცენტრალურმა ბუხჰალტერიამ (ამხ. დ. ყარაშვილი) კი დააწესოს კონტროლი ფილიალების საკასო-საფინანსო საქმიანობაზე.

7. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ სათანადო ადგილი დაუთმოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალების მუშაობის გაშუქებას.

8. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებზე და მიიღოს ზომები ახალი ამოცანების შესაბამისად სოხუმისა და ქუთაისის ფილიალების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 16 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 60

1959 წლის 21 იანვარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა აღრიცხვის დარგში დასახულ ღონისძიებათა შესახებ აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ადიგენის, ახალციხის, ხაშურის, სამტრედიის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ონის, ასპინძის, ბოლნისის რაიონებისა და ქ. ქუთაისის განათლების ორგანოებსა და სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანების შესრულების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი გარდატეხისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გამოირკვა, რომ მასწავლებლები, აგრეთვე სკოლის სხვა მუშაკები, 6 თვეში ერთხელ ყველგან არ გადიან სამედიცინო შემოწმებას და ჯანმრთელობის შესახებ ცნობას არ უდგენენ განათლების სათანადო ორგანოებსა და სკოლებს პირად საქმეში შესატანად (ლენტეხის, ორჯონიკიძისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში აღმოჩნდნენ ტუბერკულოზით დაავადებული მასწავლებლები).

ბევრ შემთხვევაში განათლების მუშაკთა პირად საქმეებში არ მოიპოვება ფოტოსურათი, დახასიათება, ავტობიოგრაფია, განათლების ცენზის დამადასტურებელი საბუთი და სამუშაოზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლი.

იმის გამო, რომ განათლების განყოფილებების გამგეები არ კითხულობენ პირად საქმეში ჩასაკერებლად წარმოდგენილ დოკუმენტებს (ავტობიოგრაფიებს, დახასიათებებს და სხვა), ბევრ შემთხვევაში ისინი სრულყოფილ დოკუმენტებს არ წარმოადგენენ.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. გ. კანდელაკი) და სკოლის დირექტორებს არ გაუტარებიათ საკმაო ღონისძიებანი სამინისტროს № 560 ბრძანების შესასრულებლად, განათლების განყოფილებაში დაცულ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა პირადი საქმეები არ არის მოყვანილი სრულ წესრიგში. ბევრ მათგანში არ არის ჩაკერებული სამუშაოზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და რიგი სხვა დოკუმენტები. რაიონის სკოლებში მომუშავე ზოგიერთ მასწავლებელს არა აქვს შევსებული პირადი სააღრიცხვო და სპეციალისტის ბარათები.

ამგვარ დარღვევებს ადგილი აქვს სამტრედიის II, ონის რაიონის პიპილეთის საშუალო და ზოგიერთ სხვა სკოლებში.

თითქმის არაფერია გაკეთებული სამტრედიის რაიონის საშუალო და 7 წლიან სკოლებში დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეთა შემადგენლობის სპეციალობის მიხედვით გადანაწილების შესახებ. რაიონის 13 საშუალო სკოლიდან მხოლოდ 3 სკოლაში დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე სხვადასხვა სპეციალობისანი არიან.

ასევე, ონის რაიონის ონის № 1, კვაშხიეთის საშუალო და გოლის შვიდწლიან სკოლებში დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ერთი და იგივე სპეციალობისაა.

განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე და სკოლების დირექტორი უპასუხისმგებლოდ ეკიდება პირადი სააღრიცხვო ბარათებისა და სპეციალისტების ბარათების (ფორმა № 59, № 206 და 210) შევსებას; ეს ბარათები ხშირ შემთხვევაში სწორად არ არის შევსებული, ხოლო ზოგჯერ სრულიად არ მოიპოვება.

ასე, მაგალითად, ასპინძის რაიონის ხერთვისის დაწყებითი სკოლის გამგის დიმიტრი ლონდარიძის პირადი ბარათიდან (რომელიც ამ თანამდებობაზე 1956 წ. 20 აგვისტოდან მუშაობს) სრულიად არ ჩანს, რომ ის ამ სკოლაში მისვლამდე სოფ. საროს დაწყებით სკოლაში მუშაობდა, არც ის ჩანს, რომ ის ხერთვისის სკოლის გამგედ მუშაობს.

ამგვარი მაგალითების დასახელება შეიძლება აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ონის, ჯავ-პინძის, ადიგენის, ბოლნისის და სხვა რაიონებიდან.

ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ასათიანმა საკმაოდ არ გაამახვილა ყურადღება კადრების აღრიცხვის სწორად დაყენების მნიშვნელობაზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანება არ განიხილა სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, ხოლო სკოლების დირექტორთა თათბირზე არ დაისახა სათანადო ღონისძიება ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რის შედეგადაც რაიონის განათლების განყოფილებაში და რაიონის ზოგ (მექვენა, ოფურჩხეთი და სხვა) სკოლებში მასწავლებელთა პირადი საქმეები კვლავ მოუწესრიგებელია.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდება სკოლისადმი ბრძანებების გამოცემის საკითხს. მაგალითად, ასპინძის საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. ცინაძე)— ბრძანებების წიგნში არ არის გატარებული სკოლის საქმისმწარმოებლის დანიშვნა მიუხედავად იმისა, რომ ის ერთ თვეზე მეტია ამ თანამდებობაზე მუშაობს; ამავე სკოლის მასწავლებელ ა. კ. ბერიძეს სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენისათვის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური, მასვე ჩამოერთვა გაკვეთილები და გადაეცა სხვა მასწავლებელს. ეს და ზოგიერთი სხვა ბრძანება (სულ 18) არ არის სათანადოდ გაფორმებული და გატარებული ბრძანების წიგნში.

სკოლის მუშაკებზე სასჯელის დადების საკითხში უპასუხისმგებლობის ნიმუშს წარმოადგენს ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში გაცემული და ამ სკოლის მასწავლებელ გ. გამეზარდაშვილის პირად საქმეში დაცული შემდეგი შინაარსის ბრძანება: „1. შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის მასწავლებელ მავრა გამეზარდაშვილს სამი თვის განმავლობაში ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლდ დაუკავდეს წელთანამსახურობისათვის კუთვნილი თანხის 25%“.

შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენს ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგე და სკოლის დირექტორი შრომის წიგნაკების წარმოების საქმისადმი.

ჯერ კიდევ ყველა მუშაკს არ გააჩნია შრომის წიგნაკი. არსებული შრომის წიგნაკები მრავალ ისეთი ხასიათის შეცდომებს შეიცავენ, რომლებიც წიგნაკებს უკარგავენ შრომის სტაჟის დასადგენი

დოკუმენტის ღირსებას. ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ცინაძემ, ბიბლიოთეკარ ქეთევან რევიშვილის შრომის წიგნაკში, მისი ამ სკოლაში დანიშვნის შესახებ ჩანაწერი გააკეთა არა იმ ფურცელზე, სადაც ეს უნდა ხდებოდეს, არამედ იქ, სადაც დაჯილდოება-წახალისება იწერება. ამ სკოლაში 7 მუშაკს სრულიად არ გააჩნია შრომის წიგნაკი.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების განყოფილებებს ევალებოდათ სრულ წესრიგში მოეყვანათ და ისე გადაეცათ სკოლებისათვის შრომის წიგნაკები, ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილებამ იმდენად მოუწესრიგებლად გადასცა ოფურჩხეთის საშუალო სკოლას შრომის წიგნაკები, რომ ბევრ მათგანში ჩანაწერები არ არის დადასტურებული ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა აღრიცხვის საქმეს; სისტემატურად შეამოწმონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანების შესრულება და გაატარონ ამომწურავი ღონისძიებანი კადრების აღრიცხვის საქმეში არსებულ ყველა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის წიგნაკების წარმოების საქმეს, არ დაუშვან ამ საქმეში რაიმე დარღვევა.

2. განათლების სამინისტროს ბუხჰალტერიამ მიიღოს ზომები შრომის წიგნაკების ბლანკებით რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანების შეუსრულებლობისა და კადრების აღრიცხვის საქმის მოუწესრიგებლობისათვის გაფრთხილებულ იქნენ ქუთაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. კ. ასათიანი და სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. გ. კანდელაკი.

4. სკოლის საქმისწარმოებისა, მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების მოუწესრიგებლობისათვის ასპინძის საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ოთარ ცინაძეს მიეთითოს.

5. დაევალოს რაიონებისა და ქალაქის განათლების განყოფი-

ლებათა გამგეებს ეს ბრძანება განიხილონ სკოლის დირექტორთა თათბირზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი კადრების აღრიცხვის საქმეში სრული წესრიგის დასამყარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წ. 16 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 69

1959 წლის 24 იანვარი

საწარმოო ჩვევების შეძენისა და პროფესიის დაუფლებისათვის ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების წარმოებებზე მიმაგრების შესახებ

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა მიერ საწარმოო ჩვევების დაუფლების მიზნით ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1958—1959 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ცდის სახით მიმაგრებული იქნენ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაზე ზეინკლობისა და ხარატობის სპეციალობის დასაუფლებლად ქ. თბილისის მე-10, მე-12 და მე-14 საშუალო სკოლების IX კლასების 72 მოსწავლე ვაჟი; სამკერვალო ფაბრიკა № 7-ზე ტანსაცმელის გამოჭრისა და საკერავ მანქანაზე ტანსაცმელის შეკერვის შესასწავლად—ამავე სკოლების IX კლასების 83 მოსწავლე გოგონა; ქარხანა საფოსტო ყუთი № 149-ზე ზეინკლობის სპეციალობის დასაუფლებლად—ქ. თბილისის მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე და 24-ე საშუალო სკოლების 177 მოსწავლე (როგორც ვაჟები, ისე გოგონები).

2. აღნიშნული სკოლების დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოებებზე მიმაგრებულ მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

3. წარმოებებზე მიმაგრებულ კლასებში სწავლების ხანგრძლი-

ობა გადიდდეს ერთი წლით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საშუალო პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრულფასოვანი გავლა.

4. დაწესდეს რომ სწავლების ვადის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სათანადო თანრიგის მისაღებად აბარებენ გამოცდას საკვალიფიკაციო კომისიას.

5. წარმოებაში სწავლის ვადა მოსწავლეებს ჩაეთვალოთ საწარმოო სტაჟში.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ მოქმედი სასწავლო გეგმით 2 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული საათები და IX — X კლასების პროგრამული მასალა გადაანაწილოს სამ სასწავლო წელზე.

7. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სისტემატურად შეისწავლოს წარმოებებზე მიმაგრებული სკოლების მუშაობა და გამოცდილების მიზნით დასკვნები წარმოადგინოს 1959 წლის 1 ივლისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

№ 72

1959 წლის 24 იანვარი

საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში 1958 წლის IV კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

აღვნიშნავ, რომ საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ 1958 წლის IV კვარტალში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა შემოწმებულია მახარაძის, თელავის, ქურთას, ეწრის, მახინჯაურის საბავშვო სახლებსა, ზედარგანისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატებში, ხოლო დოკუმენტური რევიზია ჩატარდა კოჯრის პირველ, მე-2, მახარაძის, სურამის, ქურთას, კარდანახის, ვაშლოვანის, ლენინგორის საბავშვო სახლებსა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში.

შემოწმებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგები განხილულია განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ და მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება.

ეწრის საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჩაშლილია. აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე სავალალო მდგომარეობაშია. აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით. აცვიათ მოურგებელი და უსუფთაო ტანსაცმელი. სუსტადაა დაყენებული სამედიცინო მომსახურება. აღსაზრდელებში არაა გამომუშავებული კულტურული ჭამისა და ქცევის ჩვევები. არ გააჩნიათ პირადი ჰიგიენის საგნები. საძინე-

ბელ, სამედიცინო ოთახებსა და საპირფარეშოებში ანტისანიტარული მდგომარეობაა. არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში. საბავშვო სახლის დირექტორმა გ. სანიკიძემ და სასწავლო-სახლმზრდელო ნაწილის გამგემ ქ. ტორონჯაძემ ვერ უზრუნველჰყვეს აღსაზრდელთათვის ნორმალური პირობების შექმნა, რის გამოც ადგილი აქვს საბავშვო სახლიდან აღსაზრდელთა გაქცევის ხშირ შემთხვევებს. 1958 წლის 25 ივნისს გაიპარა აღსაზრდელი ა. გივიაშვილი, 26 ივნისს—მ. ცხელაშვილი, ხოლო 6 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე გაპარული იყო აღსაზრდელი თ. მარკოზაშვილი. აღსაზრდელების გაქცევის შესახებ საბავშვო სახლის დირექციამ განათლების სამინისტროს არაფერი აცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი ჰქონდა დირექტორ გ. სანიკიძის მიერ აღსაზრდელების მ. ცხელაშვილის და ნ. ჩერტკოევის ცემის ფაქტებს.

ქურთას, მახინჯაურის საბავშვო სახლებსა და ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატში დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება. თელავის საბავშვო სახლსა და ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეები მოუწესრიგებელია. მახინჯაურის საბავშვო სახლში შრომის ინსტრუქტორთა სამუშაო გეგმები არაკონკრეტულია.

სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი აგრეთვე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაშიც.

ლენინგორის საბავშვო სახლში შეშის შეძენა წარმოებს ნაღდ ანგარიშზე. მივლინება-მიმოსვლის ხარჯები ზოგჯერ განაღდებულია ზედმეტად.

კარდანახისა და ვაშლოვანის საბავშვო სახლებში პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის აღწერები არ ტარდება დადგენილ ვადებში.

სურამის, ლენინგორის, ქურთასა და კოჯრის პირველ საბავშვო სახლებში ადგილი აქვს პროდუქტების ნორმის ზევით გაცემის შემთხვევებს.

ქურთასა და ლენინგორის საბავშვო სახლებში კაპიტალური რემონტი ჩატარებულია სამეურნეო წესით შრომის ხელშეკრულების გარეშე.

სურამის საბავშვო სახლში ადგილი აქვს კვების თანხების არასწორ ხარჯვას. ადგილი აქვს აგრეთვე თანხების როგორც აუთვისებლობას, ისე გადახარჯვას. კოჯრის მეორე, ქურთასა და ლენინგორის საბავშვო სახლებში ყურადღება არ ექცევა კალორაჟის დაანგარიშების საქმეს.

კოჯრის პირველ საბავშვო სახლში ჯეროვანი ყურადღება არ

ექცევა საფინანსო დოკუმენტაციის გაფორმებას. ამ საბავშვო სახლში საარქივო მასალების დამუშავებაზე არასწორადაა გაცემული 1.200 მან.

ქურთას საბავშვო სახლში 100 მან. ზევით შრომის ხელფასზე ზოგჯერ არაა გაფორმებული შრომის ხელშეკრულება და სამუშაოს შესრულების აქტი,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა ნორმალური პირობების შექმნისა და მათი სწავლა-აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, რეგულარულად განიხილონ მათი მუშაობის საკითხი და დამნაშავის მიმართ მიიღონ საჭირო ზომები;

გ) აღსაზრდელებში თვითმომსახურების ჩვევების დანერგვის მიზნით იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროგრამო-მეთოდური მითითებით „სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომითი მომზადება საბავშვო სახლებში;

დ) გააუმჯობესონ აღსაზრდელთა ჩაცმა- დახურვის საქმე, გამოუმუშავონ ბავშვებს კულტურულად ჭამისა და ქცევის ჩვევები;

ე) მტკიცედ დაიცვან აღსაზრდელთა კვების ნორმები, პროდუქტებისა და რბილი ინვენტარის აღწერის ვადები.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ:

ა) ეწრის საბავშვო სახლის მუშაობის საკითხი განიხილეს სამტრედიის რაიონის ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა და გაატარეს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) ლენინგორის საბავშვო სახლის ბუხჰალტერი გ. ამუროვი განთავისუფლებულია სამუშაოდან.

3. ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. თ. ა. ზახაშვილს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებასთან ერთად ერთი კვირის ვადაში შეარჩიოს ეწრის საბავშვო სახლის დირექტორის თანამდებობაზე საბავშვო სახლების მუშაკთაგან გამოცდილი, კეთილსინდისიერი, ენერგიული მუშაკი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 23 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ვ. ნ. ჯიბლაძე**

შინაარსი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ.

1. ბრძანება № 1609—ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლისათვის დიდი ჩეხი პედაგოგისა და მოაზროვნის იან ამოს კომენსკის სახელის მინიჭების შესახებ 3

2. მიმართვა № 1/6 4

3. ბრძანება № 14/79 ,—ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1958 წლის 22 თებერვლის ბრძანება № 151/69 შესრულების მდგომარეობის შესახებ . 5

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება 1958—1959 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ქობულეთელთა მოწოდების პასუხად ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ 9

5. ბრძანება № 31—1958 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ 22

6. ბრძანება № 47—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო-მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ 25

7. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლების დამხმარე სასოფლო მეურნეობისა 26

8. ბრძანება № 56—ქ. თბილისის პირველ, მე-4, 23-ე და 55-ე საშუალო სკოლების II კლასებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 30

9. ბრძანება № 59—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და სოხუმის ფილიალების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 32

10. ბრძანება № 60—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის 14 ივნისის № 560 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 37

11. ბრძანება № 69—საწარმოო ჩვევების შეძენისა და პროფესიის დაუფლებისათვის ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების წარმოებებზე მიმაგრების შესახებ 42

12. ბრძანება № 72—საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა—ინტერნატებში 1958 წლის IV კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 45

უფასო

1081
ეროვნული
ბიბლიოთეკა

39

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

გადაეცა წარმოებას 3/II—59 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3.
სტამბის შეკვ. № 135 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. Ш. Чхеидзе № 19.